თემატური ინსტრუმენტები

http://eu-nato.gov.ge/ge/page/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98

თემატური ინსტრუმენტები

სამეზობლო საინვესტიციო ფონდი - Neighborhood Investment Fund (NIF)

- პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერა ინვესტიციების მოზიდვაში მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად ენერგეტიკის, ტრანსპორტის, სოციალურ და გარემოს დაცვის სექტორებში.

ევროპული ინიციატივა დემოკრატიისა და ადამინის უფლებებისთვის - European Instrument for Development and Human Rights (EIDHR)

- არასამთავრობო სექტორის მხარდაჭერა დემოკრატიული პრინციპების, ადამინის უფლებების და კანონის უზენაესობის გაუმჯობესების პროცესში. პროექტების შერჩევა და დაფინანსება ხორციელდება ევროკომისიის ვერ-გვერდზე გამოცხადებული კონკურსის (Call for proposal) საშუალებით.

არასამთავრობო სექტორისა და ადგილობრივი ხელისუფლების განვითარების თემატური პროგრამა - Non-State Actors and Local Athorities Development Thematic Programme

- პროგრამა ფინანსდება ევროკავშირის განვითარებისა და თანამშრომლობის ინსტრუმენტის (Development Co-operation Instrument - DCI) ფარგლებში და ითვალისწინებს პარტნიორ ქვეყნებში არასამთავრობო სექტორისა და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერას (პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია თანადაფინანსება).
- გრანტების დაფინანსება ხორციელდება ევროკომისიის ვერ-გვერდზე გამოცხადებული კონკურსის (Call for proposal) საშუალებით.

საუნივერსიტეტო თანამშრომლობის პროგრამა - Tempus

- უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის მხარდაჭერა და ევროკავშირის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა.
- ამჟამად, მიმდინარეობს 14 პროექტი, რომლებშიც ჩართულია საქართველოს 16 საგანმანათლებლო დაწესებულება.
- პროექტების შერჩევას ახორციელებს ევროკომისია საქართველოს **Tempus**-ის ეროვნული ოფისის მხარდაჭერით.

Erasmus Mundus

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა (სტუდენტური და სამეცნიერო პროგრამები, სასწავლო გრანტები).
- გრანტების დაფინანსება ხორციელდება ევროკომისიის ვებ-გვერდზე გამოცხადებული კონკურსის (Call for proposal) საშუალებით.

FP7 – ევროკავშირის მე-7 ჩარჩო პროგრამა

- სამეცნიერო პროგრამები კვლევისა და ინოვაციის (research and innovation) სფეროში.
- გრანტების დაფინანსება ხორციელდება ევროკომისიის ვებ-გვერდზე გამოცხადებული კონკურსის (Call for proposal) საშუალებით.
- საქართველოს მხრიდან პროგრამის საკონტაქტო/საინფორმაციო ოფისის ფუნქციებს ასრულებს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

Marie Curie

- სამეცნიერო პროგრამები. გრანტების დაფინანსება ხორციელდება ევროკომისიის ვებ-გვერდზე გამოცხადებული კონკურსის (Call for proposal) საშუალებით.

Jean Monnet

- სწავლებისა და კვლევების მხარდაჭერა ევროპული ინტეგრაციის სფეროში.
- გრანტების დაფინანსება ხორციელდება ევროკომისიის ვებ-გვერდზე გამოცხადებული კონკურსის (Call for proposal) საშუალებით.